ი 33/656 PP 2170

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიქელაძის ცენტრი
MIKELADZE CENTER

# სახელმწიფო საგუნდო კაპელა
# სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი

დავით კინწურაშვილი დირიჟორი
არჩილ უშვერიძე ქორმაისტერი

სოლისტები
სალომე ჯიქია სოპრანო
მარიამ ნაჭყებია სოპრანო
ოთარ ჯორჯიკია ტენორი
ლეგი იმედაშვილი ბანი
გიორგი გოდერძიშვილი ბანი

## ნაწილი მესამე

ცის კაბადონიდან დედამიწას ეღვრება წმიდა ჰარმონია.

შეხედეთ ბედნიერ წყვილს, მათ სახეზე ასახულა ღვთისადმი მადლიერება, ხოლო ბაგეებიდან ისმის უფლის სადიდებელი.

ჩვენი ხმებიც შევუერთოთ მათ.

ადამი და ევა სიყვარულის ნეტარებაში ჩაძირულნი, მარადიული ერთგულების ფიცით მადლიერებას უძღვნიან შემოქმედს.

ო, შეყვარებულო წყვილო, თქვენ ბედნიერნი იქნებით სამარადჟამოდ, თუ არ გაგიტაცებთ მაცდური ოცნება უფრო მეტზე, რაც მოგეცათ და არ მოინდომებთ, ჩაწვდეთ იმაზე მეტს, რაც იცით.

ვიზუალი (ვიდეო ინსტალაცია) ეკა ჟაბაშვილი

თარგმანი ინგა კოხრეიძე

კორექცია დოდო ბესელია

დ. აღმაშენებლის გამზ. 127, D. AGHMASHENEBELI AVE. T: +995 32 2 91 55 05

16.03.2013 19.30

RADIO MUZA

# ჰაიდნი
# სამყაროს შექმნა

### პირველი შესრულება საქართველოში

## ნაწილი პირველი

**დასაბამად ქმნნა ღმერთმან ცაი და ქუეყანაი.
ხოლო ქუეყანაი იყო უხილავ და განუმზადებელ და ბნელი ზედა უფსკრულთა.
და სული ღმრთისაი იქცეოდა ზედა წყალთა.
და თქუა ღმერთმან: იქმენინ ნათელი და იქმნა ნათელი.
და იხილა ღმერთმან ნათელი, რამეთუ კეთილ.
და განწვალა ღმერთმანშორის ნათლისა და შორის ბნელისა.**

ელდანაცემი ჯოჯოხეთის სულები
გუნდ-გუნდად მიფრინავენ საუკუნო წყვდიადის უფსკრულისაკენ.
გააფთრება და შიში თანამდევი გახდა მათი დაცემისა.
ღვთის სიტყვით იბადება ახალი სამყარო.

**და განყო ღმერთმან შორის წყლისა, რომელი იყო ქუეშე კერძო სამყაროისა
და შორის წყლისა ზედა კერძო სამყაროისა. და იქმნა ასე.**

მძვინვარებდა ქარიშხალი, ქარნაყებულ თივასავით მიქროდნენ ღრუბლები, ცას ცეცხლოვანი ელვა კვეთდა; ღვთის ბრძანებით წყლები გადმოვიდნენ, გადმოსკდა ღვარცოფი და მაცოცხლებელი წვიმა; ფარფატა თოვლი.

**და თქუა ღმერთმა შეკრებინ წყალი ქუეშე კერძო ცისა შესაკრებელსა ერთსა, და გამოჩნდინ ხმელი. და იქმნა ეგრეთ. და შეკრბა წყალი ქუეშე კერძო ცისა შესაკრებელთა მათთა. და გამოჩნდა ხმელი.**

**და უწოდა ღმერთმან ხმელსა ქუეყანაი და შესაკრებელსა წყალთასა უწოდა ზღუებ. და იხილა ღმერთმან, რამეთუ კეთილ.**

ზღვა ბობოქარი ნარნარებს აქაფებულ ტალღებში, მოჩანს მთები, ბორცვები და კამკამა ნაკადული, რაკრაკით მორბენალი მდუმარე ველზე.

**და თქუ: ალმოამორჩენ ქუეყანამან მწუანვილი თივისაი. მთესველი თესლისაი, ნათესავობისაებრ და მსგავსებისა და ხე ნაყოფიერი მყოფელი ნაყოფისა, რომლისა თესლი მისი მისთანა მსგავსებისაებრ ქუეყანასა ზედა. და იქმნა ეგრეთ.**

მდელო თანდათან იმოსება მწვანით, მშვენიერდება კრძალულ ყვავილთა სილამაზით, ჭრილობის მკურნალი ბალახები ბალზამის სურნელს აფრქვევენ. ოქროსფერი ნაყოფით დამძიმებული ტოტები კი გიტყუებს ჩრდილში.

და ცის მხედარნი ღვთის დიდებით და შეძახილებით იუწყებიან მესამე დღის შესახებ.

აიღეთ ლირა, მომართეთ სიმები და ალავლინეთ უფლის სადიდებელი გალობა.
იმხიარულეთ ყოვლისშემძლე უფლის წინაშე, რადგან მან შემოსა მშვენიერებით ცა და მიწა.

**და თქუა ღმერთმან: იქმენინ მნათობნი სამყაროსა შინა ცისასა მნათობად ქუეყანისა განსაყოფელად შორის დღისა და შორის ღამისა. და იყუნედ სასწაულებად დღეებად და ჟამებად და წელიწადებად. და შექმნა ღმერთმან ორნი მნათობნი დიდნი: მნათობი დიდი მთავრობად დღისა. და მნათობი უმრწემესი - მთავრობად ღამისა. და ვარსკულავნი.**

სრული ბრწყინვალებით ამოდის მზე, როგორც სასიძო დიდებული ამაყი და მხიარული. მოკრძალებული ნათებით მიცურავს მთვარე მდუმარე ღამეში. ზეცა ბრწყინავს ვარსკ[illegible] ოქროსფერი ბზინვარებით, ღვთის შვილნი კი ზეციური გალობით ადიდებენ ღმერთს იუწყებიან რა მეოთხე დღეს.

## ნაწილი მეორე

**და თქუა ღმერთმან: გამოიღედ წყალთა ქუენარმავალები სამშვინველთა ცხოველთაი და მფრინველნი ფრინვალენი ქუეყანასა ზედა ჩემისაებრ ცისა. და იქმნა ეგრეთ.**

ძლიერი ფრთებით ამაყად მოაპობს ჰაერს და მზისკენ მიიწევს არწივი. ტოროლა მხიარული სიმღერით ეგებება დილას, ნაზად ღუღუნებს მტრედების წყვილი. ჭალის ყველა ბუჩქიდან ისმის ბულბულთა გალობა, რომლებსაც არ განუცდიათ მწუხარება.

**და შექმნნა ღმერთმან ვეშაპნი დიდნი და ყოველი სული ცხოველთა ქუენარმავალთაი, გამოიღეს წყალთა ნათესაობისაებრ მათისა ყოველი მფრინველი მფრინველთანი ნათესაობისაებრ. და იხილა ღმერთმან, რამეთუ კეთილ.**

აი, შეეხნენ ანგელოზები არფებს, რათა ალავლინონ გალობა მეხუთე დღის სასწაულისა.

ლორთქო სიმწვანით შემოსილი ბორცვებიდან მოედინება ბროლის ნაკადული.

გაერში მხიარულად მონარნარე ფრინველთა ჭრელ ბუმბულზე ოქროსფრად ირეკლება მზე.

ტრიალით მიაპობს გამჭვირვალე წყალს თევზების გუნდი, ვეშაპი აქაფებს ზღვის ზედაპირ.

დიდ და მრავალ არს საქმენნი შენნი, უფალო, ვინ მოთვლის მათ?!

**და თქვა ღმერთმან: გამოიღედ ქუეყანამან სამშვინველი ცხოველი ნათესაობისაებრ ოთხფერხთა და ქუენარმავალთა და მხეცთა ქუეყანისათა ნათესაობითი. და იქმნა ეგრე.**

და გახსნა მიწამ პირი, ღვთის სიტყვით შეიქმნა ყოველივე.
აგერ, ლომი სიხარულით ღრიალებს, იქვე ჩანს მოქნილი ვეფხვიც. ირემს გატოტვილი რქების ჯილა ადგას. ჭიხვინებს ფაფარაყრილი ცხენი, ხარების ჯოგს დაუფარავს მინდვრები. იქვე გაშლილა ცხვრის ფარაც. მტვერივით ირევა ჰაერში მწერების გუნდი, მიწაზე კი ძაფებივით გაბმულან ჭიაყელები.

სრული ბრწყინვალებით ანათებს ზეცა, მშვენიერია დედამიწა. ჰაერში მსუბუქად დაფარფატებენ ფრინველები, თევზების გუნდი მიაპობს წყალს, ხოლოდ მიწაზე დააბიჯებენ ცხოველები. მაგრამ ეს ყველაფერი არ არის, ჯერ არ შექმნილა არსება, რომელიც მადლიერებით ადიდებდა უფალს.

**და შექმნა ღმერთმან კაცი სახედ თვისად და ხატად ღმრთისა შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად ქმნა იგინი.**

ღირსებით, დიდებით, სილამაზით, სიძლიერით და სიმამაცით ალსასვსე, სახით ზეცისკენ დგას ადამიანი, ხელმწიფე ყოველივესი. მაღალი შუბლის მიღმა ღრმა სიბრძნე მოჩანს.

და აი, ქმნილება ნათელ ასაკში უფლის მიერ შთაბერილი სული, უფლისვე ხატება. მის მკერდზე კი მიყრდნობილი მისგანვე შექმნილი მეუღლე - მშვენიერი, ლამაზი, სიყვარულის, ბედნიერების და ნეტარების მომტანი.

**და იხილნა ღმერთმან რაოდენნი ქმნნა, და აჰა კეთილ. ფრიად, და იყო მწუხრი და იქმნა განთიად დღე მეექუსე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა